

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ქალაქ ქობულეთში, აბაშიძის ქუჩაზე შპს „შავი ზღვის სამოთხე 1“-ის საკუთრებაში არსებული ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმა

სტრატეგიული დოკუმენტის დასახელება: ქალაქ ქობულეთში, აბაშიძის ქუჩაზე შპს „შავი ზღვის სამოთხე 1“-ის საკუთრებაში არსებული ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმა

დამგეგმავი ორგანო: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალი: ქ. ქობულეთი, აბაშიძის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთი (ს.კ: 20.42.09.600)

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2023 წლის 2 მაისს წარმოდგენილი იქნა ქალაქ ქობულეთში, აბაშიძის ქუჩაზე შპს „შავი ზღვის სამოთხე 1“-ის საკუთრებაში არსებული ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმა და სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებასა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2023 წლის 16 მაისის ჩათვლით**, მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge

სტრატეგიული დოკუმენტი – საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული ორგანოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლითაც ცალკეული სექტორებისთვის დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ III თავის შესაბამისად და კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობების სახეობებისთვის განისაზღვრება მახასიათებლები ან/და მოცულობები.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ) – „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების შესწავლისა და ზოგადი პროგნოზირების პროცედურა. სგშ მოიცავს სკოპინგს, სგშ-ის ანგარიშის მომზადებას, საზოგადოების მონაწილეობას, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების გამართვას და მათგან მიღებული რეკომენდაციებისა და შეფასების შედეგების მხედველობაში მიღებას სტრატეგიული დოკუმენტის მიღებისას/დამტკიცებისას.

სკრინინგი – პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროებას.